ნომერი: 12-01212581904-60
თარიღი: 15.09.2021 14:07
ვადა: 18.10.2021

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 04-01212581704 განცხადების თარიღი: 15.09.2021
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

შარტავა - გაბესკირიას ქანდაკების განთავსების თაობაზე, ჟიული შარტავას სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში, ან/და მერაბ კოსტავასა და სიმონ ჩიქოვანის ქუჩების კვეთაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მომიჯნავე ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.17.041.016)

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01212581904-60
15.09.2021 : 14:07
ქ. თბილისი 0160, ჭ.შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

წერილის ნომერი: **04-01212581704**
თარიღი: **15/09/2021**
პინი: **9340**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის უფროსს ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისიის“ გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში, ან/და მერაბ კოსტავასა და სიმონ ჩიქოვანის ქუჩების კვეთაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მომიჯნავე ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.17.041.016), საქართველოს ეროვნული გმირების - ჟიული შარტავასა და გურამ გაბესკირიას არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განსათავსებლად ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საუკეთესო წინადადების შერჩევის მიზნით, 2020 წლის 30 დეკემბერს გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო კომისიის მიერ მოწონებულ იქნა მოქანდაკე ავთანდილ მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

გიგზავნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ძეგლების განთავსების ადგილს და გთხოვთ, წარმოდგენილი ფოტომასალის შესაბამისად, გვაცნობოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს პოზიცია.

დანართი: 7 (შვიდი) გვერდი

პატივისცემით,

ვლადიმერი ჭიღლაძე

მერიის ადმინისტრაცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ჟიური შარტავასა და გურამ გაბესკირიას ძეგლები









ქალაქი თბილისი

გენგეგმა


ფასადი
65.0
210.0
275.0


35.0
35.0
45.0
55.0
გეგმა


75.0
55.0
55.0
75.0
გეგმა


ფასადი
367.8
96.8
246.0
25.0
55.0
75.0


ფოტომონტაჟი


ფოტომონტაჟი


ქანდაკების განთავსების ადგილი
N

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას N71

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია

ობიექტის განთავსების არეალი







განმარტებითი ბარათი

პორტრეტის განთავსების ადგილთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ლოგიკური იქნებოდა ჟიული შარტავას სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში მისი პორტრეტის განთავსება, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შედეგად გადავწყვიტე, მერაბ კოსტავასა და სიმონ ჩიქოვანის ქუჩების კვეთაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსება. რეალურად ბატონ ჟიულის თბილისთან ყველაზე მეტად ტექნიკური უნივერსიტეტი აკავშირებს. მან 1966 წელს ჩააბარა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. შემდეგ, 1973 წელს სწავლობდა ასპირანტურაში ტექნიკური კიბერნეტიკის სპეციალობით. ამის მერე, გახდა ტექნიკური უნივერსიტეტის კომკავშირის მდივანი და ფაქტიურად იქიდან გაიკაფა გზა დიდი პოლიტიკისკენ, ამიტომაც მართებულად მიმაჩნია, შერჩეული ადგილი. აგრეთვე, ცხოვრების ბოლო ეტაპზე, გაბისკირიასთან განვითარებული ურთიერთანამშრომლობა და მათი ერთობლივი საბედისწერო გმირული დაღუპვა, ალბათ საჭიროებს, რომ მათი პორტრეტები ახლოს იდგნენ ერთმანეთთან.

რაც შეეხება მასალას, ორივე პორტრეტის პოსტამენტი დამზადდება გრანიტის ქვით. შენობა მოპირკეთებულია ბაზალტით და გრანიტი ერთის მხრივ ოდნავ გამოყოფს შენობიდან და მეორეს მხრივ გარკვეულ პომპეზურობას შესძენს. ორივე პორტრეტი ბრინჯაოში ჩამოისხმება.

ბატონი ჟიულის პორტრეტი უნდა გამოხატავდეს გმირულ და პატრიოტულ სულისკვეთებას. შეიძლება იყოს ოდნავ თანამედროვე თავისი სტილისტიკით, მაგრამ უნდა იქნეს აგებული კლასიკური პორტრეტის მოთხოვნებზე. რადგან მის გმირობაზე, ასწლეულებით, უნდა გაიზარდოს ქვეყნის მომავალი თაობები. ჩემი ამოცანა იყო, ოდნავი ღიმილი გამომეხატა, მის გმირულ სულისკვეთებასთან ერთად და წარმომესახა თანამედროვე, რეალური გმირი, რაც მემგონი გამომივიდა.